**რედაქცია**
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**
მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭუმბურიძესთან ნილოძე. გარე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.


**ხელმწიფის მემკვიდრის დღესასწაულის გამო, ხვალ, პარასკევს, გაზეთი არ გამოვა.**

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 24 თებერვალს. ზოგიერთს გაზეთებში დაბეჭდილი იყო ამბავი, ვითომც სახალხო განათლების მინისტრი საბუროვი გამოდის სამსახურიდამაო; ეს ამბავი ტყუილი და უსაფუძვლო ამბავია.

გაზ. „გოლოსში“ იწერებიან: უნივერსიტეტის ზედამხედველობის შესახებ ახალ პროექტს ამ ერთს კვირაში განიხილავს სახელმწიფო რჩევა.

**ოდესსა**, 24 თებერვალს. აქედამ ოსმალეთში შავს ზღვაში გაყვანილი ტელეგრაფის მავთული გაფუჭდა.

**ლონდონი**, 23 თებერვალს. ინგლისსა და ბოერებს შუა დროებითი მორიგება ჩამოვარდა. ინგლისის მმართებლობა ტრანსვაალის სრულს დამოუკიდებლობის უფლებას აძლევს ბოერებს, მხოლოდ სახელით კი ინგლისი იმის მფარველად ჩაირიცხება.

**რომი**, 23 თებერვალს. რომის პაპი ცდილობს პოლშის კლერიკალურ პარტიისა და რუსეთის მორიგებას.

**პარიჟი**, 24 თებერვ. გამოცხადებულია დეკრეტი ერთის მილიარდის სესხისა, 5 და 3 სარგებლის რენტი, კურსი 83¼ ფრანკი.

**პეტერბურღის ბირჟა**, 24 თებერვალს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 95 | 87 |
| მეორესი | 93 | 25 |
| მესამესი | 93 | 50 |
| მეოთხესი | 93 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. | 92 | 50 |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92 | 50 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 82 |
| თფილისის სადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 225 | 25 |
| მეორე სესხის | 222 | 25 |

| 1 მანეთი ღირს: | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 25 | 12 | პენსი |
| ჰამბურღი | 214 | 50 | ცენტი |
| პარიჟი | 266 | „ | სანტიმი |
| ვენა | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კრასინი | — | — | |

## ახალი ამბები.

ამას წინათ ჩვენს გაზეთში ატყდა ბაასი ბ. ვ. მიქელაძესა და ბ. იოსელიანს შორის ქართულად შედგენილი ისტორიის სახელმძღვანელოს თაობაზედ, რომელიც ბ. იოსელიანმა წარუდგინა დასაბეჭდათ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კომიტეტს

ამ სახელმძღვანელოის გარჩევა ხსენებულ კომიტეტმა მიანდო ბ. ვ. მიქელაძეს, რომელმანც ის დაბეჭდვის ღირსად არა სცნო.

ახლა ჩვენ შევიტყევით, რომ ავტორს თავის შრომა კავკასიის სასწავლებლო მაზრის მზრუნველისათვის წარუდგენია და, ამის შემწეობით, მთავარ-სამმართველოდამ მიუღია კიდეც, თუ არ ვსცდებით, ოთხასი მან. ამ სახელმძღვანელოს დასაბეჭდათ.

ჩვენ ვიცით, რომ, ბ. ზ. იოსელიანს გარდა, ზოგიერთ სხვა პირებსაც მიუღიათ ამგვარად თავიანთ წიგნების დასაბეჭდათ ფული მთავარ სამართველოს კანცელარიიდამ.

ამიტომ საინტერესოა ვიცოდეთ— ვინ იხილავს და ვინ აფასებს ამ წიგნებს, რომლის დასაბეჭდათაც ხაზინა აძლევს შემწეობას იმ „საყოველთაო სასარგებლო საჭიროების დასაკმაყოფილებელ“ ფულიდამ, რომელიც დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებაშია?

* * *

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია წესდება ბათუმის პორტო-ფრანკოს შესახებ, რომელსაც ამ დღეებში გადმოვბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

* * *

გორიდამ გვწერენ, რომ კვირას, 1 მარტს, ქართულ სცენის მოყვარეებს აქაურს როტონდაში წარმოდგენა აქვთო. არდგენენ აკაკის სამმოქმედებიან დრამას: „ჭუდურ-ხანუმს“. ამას გარდა დივერტისმენტიც იქნებაო.

წარმოდგენა არის დანიშნული ღარიბ ქართველ სტუდენტების შესაწევნელად.

* * *

გუშინწინ კვირას, 22 თებერვალს, ჩვენს ქალაქში გარდაიცვალა ღენ.-ლეიტ. იოსებ ივ.—ძე ხოდსკო.

მიცვალებულს ბევრი შრომა და მოღვაწეობა მიუძღვის ჩვენის მხრის

---

## «დროების» ფელეტონი, 26 თებერვ.

### გიორგის ალსარება.

ადრე ყოფილა ჩემი გვარი „ქართველიშვილი“,
შემდეგ მეძახდნენ „გურჯი-ოღლის“ დიდხანს თათრები,
დღეს კი „გრუზინსკით“ შევიქენი მე გადაქმნილი…
სულ დამეკარგა გვარ-ტომობის სწორი დავთარი!

—

მამა ყოფილა ჩემი თურმე მამაცი, სრული,
მტრისა მებრძოლი, გულადი და შეუპოვარი,
ბრძოლის ველზედა სისხლათ იყო ის დაწურული,
ბარათაშვილმა მისთვის მოართო უკვდავი ქნარი!

—

დედა-ჩემიცა ქალი იყო სულით მაღალი,
მამულისათვის შვილის მზრდელი სისხლის სათხევლად!
მას აუხსნია შვილებისთვის მათ-მათი ვალი,
ისინი ხსუში დახოცილან, მე დავრჩი მხევლად..

—

ჯერ არ შემძლო მომესმარა კარგად ფარ-ხმალი,
როდესაც მამა ბრძოლის ველზედ სისხლად დასწურეს!
იმან ქართულად აასრულა მით თვისი ვალი,
ყიზილბაშებმა თფილისისკენ რომ მოაშურეს.

—

დედამ ოდეს სცნა ეს ამბავი, მას ელდა ეცა;
ვეღარ გაუძლო იმდენს ჯავრსა, მუცელს გადაჭყდა!
ასე ჩვენს ოჯახს გაურისხდა სასტიკად ზეცა.
მე დავრჩი ობლად და მომვლელიც აღარავინ მყვა.

—

მაშინ ხელთ მიგდო ვიღაც უცხო მე დედა-კაცმა;
დიდხანს დამდევდა და მაშინ კი იშოვნა მან დრო:
ხელში ჩამიგდო კაკიები მან ერთი აცმა,
მით მომატყუა და ცრემლებიც მითი შემაშრო.

—

მაგრამ ნაცვალი-დედის, იცით თქვენც: თუ რა არი!
გერისა გულში მისგან სომ ვერ გამოძლებოდა!
ოხ, მიუყაროს იმ კუდურსა თვალში ნაცარი,
რომ ობლის კვერი იმის ხელში გვიან ცხვებოდა!

—

წინა-განზრახვით არ მომცა მე მაღალი სწავლა,
ოქრო-ქსოვილით ამიხვია ორივე თვალი,
რომ ვერ შევიძლო მე უმისოთ სწორ გზაზე გავლა
და მისს მონასა მებნეოდეს აწ გზა და კვალი!

—

არავინ მომცა მე საშველად დაცემულს ხელი
და სიყრმიდგანვე შევეზარდე ამა მონებას!
აღარ მამძიმებს ეს მონების მძიმე უღელი…
სული მკვდარია…… და არც ველი მე აქ ცხონებას!…

—

და როს მოვკვდები, თუ მის შემდეგ ჩემი შვილები
აიცილებენ მამის ხვედრსა, უბედურებას,
მაშინ საივლავში შეიძვრიან მსწრაფლ ჩემი ძვლები
და სული ზეცას მაინც იცნობს ტკბილ ნეტარებას!…

1869 წ. აკაკი.

---

## ბ. მარსოვის გადაყვანის გამო.

„ვსწუხვარ, რომ ჩემი პირ-და-პირი შეხედულება საქმისა და პედაგოგიურს აზრზედ დადგომა ზოგიერთებისაგან შეირაცხა წინააღმდეგ აზრად“— უთქვამს ბ. მარსოვს გამოთხოვების დროს ზოგიერთი მასწავლებლებისათვის დ. უვირილაში.

დიახ, დიდად სამწუხაროა, როდესაც ღვთის-სამსახური კერპის-თაყვანისცემად მიაჩნიათ და სასტიკად სჯიან და ეშმაკის მსახურება კი ია-ვარდით უფენს კაცს ცხოვრების გზას!.. და ეს რომ ასეა, ამას სხვათა შორის ბ. მარსოვის გარდაყვანაც გვიმტკიცებს ქუთაისიდგან ბაქოს სახალხო სკოლების დირექტორად.

ეს მათრახის გადაკვრა ძნელი გასაგებია მისთვის, ვისაც საქმის სარჩული არ უნახავს; ჩემთვის ეს კი დღესავით ცხადია და რომ „ფერადი დარაჯის“ უწყალოება არ მაკავებდეს, მკითხველსაც გაუზიარებდი ჩემს ცოდნას… ამიტომ ახლა ამას თავს დავანებებ და ორიოდე ფაქტს მოვიყვან ბ. მარსოვ-ის მოქმედებიდგან, რომელიც ჩვენი ხალხის სწავლა-განათლების სასიკეთოდ იყო მომართული.

ბ. მარსოვის ყოველი ნაბიჯი ამ საქმეში, მე მგონია, ეთანხმებოდა ბ. იანოვსკისაგან ქალალდზე გამოთქმულს აზრს შესახებ იმისა, რომ „ა) ყველა სასწავლებლებში სწავლა უნდა მიმდინარეობდეს ვონივრულად, რადგან მხოლოდ ამ პირობით სწავლას ექნება გავლენა მოსწავლეთა ზედა, მათს

გეოგრაფიისა და ტრანგულაციის შესწავლაში.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ უყიდნია ზაქარია ჭიჭინაძისაგან საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის ას სამოცდა ათი ქართული ხელ-ნაწერი წიგნები.

* * *

ხვალ, 27 თებერვალს, პარასკევს საღამოს რვა საათზე, სათავად-აზნაურო ბანკში, არის დანიშნული მეოთხე სხდომა „ვეფხის-ტყაოსნის“ რედაქციისა.

## წერილი რედაქტორთან.

I

ბ. რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის მე-34 ნომერში დაბეჭდილია გორიდამ მიღებული კორესპონდენცია, რომლის თაობაზედ ნება მომეცით ორიოდ სიტყვის თქმისა:

კორესპონდენტი ამბობს, გორელებს საძოვარი არ აქვსთ და ერისთავს, ამილახვარს და ხუდადაშვილებს-კი ათას დღიურობით აქვსთო, და რატომ არა ვინ გამოიძიებს—ვინ მისცა ამათ ამოდენა მიწებიო.

მაგრამ ბ. კორესპონდენტი ელოდება ალის ამ საქმის გამოძიებას და აქეთ-იქით იწყებს საბუთების ჩხრეკას და თავის ჭკუით პოულობს კიდეც შესახებს საბუთს, რომელსაც საჩქაროთ გზავნის გაზეთში დასაბეჭდათ.

დაიჩოქეთ, გორელებო, და თაყვანი ეცით ბ. კორესპონდენტს, რადგანაც ამის მოწყალეებით შეიძენთ ათას დღიურობით მიწებს, რომელიც ეხლა ესრე თვალში ეჩხირება ამ ბ. კორესპონდენტს.

აქნობამდისინ თქვენ გეძინათ და მარტო დავთრების ანუ კნიგების შენახვაში ალამებდით თქვენ სიცოცხლეს და ეხლა, გინდათ-არ გინდათ, უნდა გაიღვიძოთ და იზრუნოთ თქვენ სამშობლო ქალაქზედ...

ეხლა ვნახოთ, რა საბუთი უპოვნია ბ. კორესპონდენტს და რა მნიშვნელობა აქვს იმის გამოგზავნილ დედანს.

ეს ქაღალდი, რომელიც აღტაცებულს კორესპონდენტს საბუთათ მიაჩნია, გახლავსთ საჩივარი ხითარაანთზურაბასი და გაბრიელ იოსებასი მირთმეული მეფის ერეკლესადმი, რომელშიაც ეს ორნი პირნი იხსენებენ, რომ გორელების საძოვარი ქარალეთის ბოლოდამ გორის წისქვილებამდინ ალა პაპაშვილს პაპას უჭირავსო.

რა გამოდის ამ საჩივრიდგან, ბ. კორესპონდენტო, გარდა ამისა, რომ უწინაც გორში ბევრი საქმე გაწყვეტილი ხალხი ყოფილა და არზების წერა ჰყვარებიათ?

გაგიგონია ვისგანმე, თუ თქვენის ჭკუით მიხვედრილხართ, რომ საჩივარი საბუთია ვისთვისმე?

მეორეც ჩემო ბატონო, ამ საჩივარში ხუდადაშვილების სახელი სრულებითაც კი არ იხსენიება, თუმცა იმ დროს ხუდადაშვილები ბატონობდნენ გორში და თქვენი თვალ-გადავლებული მამულიც ხელში ეჭირათ.

საჩივარი არის მარტო ალა-პაპაშვილზედ და ისიც გორელების მხარეს არ არის მეფისაგან გადაწყვეტილი, იმას მხოლოდ უბძანებია დიასამიძე გონბაშისათვის ამ საქმის გამოძიება.

აბა ბ. კორესპონდენტო, ართი დიასამიძის გამოძიებაც გამოჩხრიკეთ და შეგვატყობინეთ, რა სწერია იმ გამოძიებაში?

თქვენ წიგნში მოყვანილია მასალა: „სოფელი ვნახე უძაღლოო, შიგ გავიარე უჯოხოო“. როგორც ვატყობათ, თქვენ გსურსთ თქვენგანვე ხსენებული ოთხფეხის ადგილი დაიჭიროს ვინმემ, რომ უჯოხოთ არვის შეეძლოს გავლა, ბრალიანს და უბრალოს მისწვდეს და ყელი გამოაგლიჯოს; მხოლოდ არა მგონია, რომ ეგ სურვილი აგისრულოთ ვინმემ. მაგრამ ეხლა, როგორც თქვენ თითონაც ბძანებთ, მტკიცე საბუთებით არის ყოველივე საქმე, და უბრალო ტიკტიკით არაფერი საქმე აღარ კეთდება.

უკეთუ ნამდვილი საბუთები გაქვთ რამე, რომ ზემო ხსენებული პირების (ერისთავის, ამილახვრის და ხუდადაშვილების) მიწები გორს ეკუთვნის, მაშინ რატომ არ წარუდგენთ მაგ საბუთებს გორის მოთავეს? უკეთუ გულ-მატკივარი ბძანდებით გორის საქმეებზედ, აბა კარგათ გამოიძიეთ—ვის უჭირავს ახლო პოლიციაში გორის ჩინებული მამულები, რა იქმნა ამდონი წლის ხიდის შემოსავალი, სად ჩაილუპა გორის შემოსავალი ვიდრე დუმის გაღებამდე და სხვა-და-სხვა?..

თქვენ ოხუნჯობთ წითელ-ყვითელ „კნიგებზედ“, რომ ორ შაურს ხუთ დავთარში ატარებენ, მაგრამ ჩემის ანგარიშით აქ საჭიროც არა არის-რა, პირველი იმიტომ რომ თითომ კანონი მოითხოვს რიგიანი დავთრების შენახვას და მეორეც საზოგადო ფულს ფთხილათ უნდა მოექცნენ, და, თუ დავთრები არ იქმნება, მაშინ არამც თუ შაურებს, ათას თუმნებსაც ველარ იპოვნიან. მაგალითიც თვალ წინ გაქვსთ: უწინდელი დეპუტატების ანგარიშები.

ა. ხ.

II

„დროებაში“ ამას წინათ იყო დაბეჭდილი ქუთაისიდამ გამოგზავნილი კორრესპონდენცია მაზედ, რომ ერთს აქაურს ვაჭარს, შვიდს იანვარს, მაღაზია გაუტეხეს ავაზაკებმა, და პოლიციამ ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციაო. არ ვიცი ვისი იყო ის კორრესპონდენცია, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ის ვაჭარი, რომელზედაც იყო ლაპარაკი იმ კორრესპონდენციაში ვარ მე. ამ კორრესპონდენციის დაბეჭვდას ჩემს დუქნის გატეხაზედ და ავაზაკების მოძებნაზედ ცუდი შედეგი მოჰყვა და ამ გარემოებამ იძულებული მყო მე არა მწიგნობარი, კალმის აღებისა და ჩემის გაჭირვების საქვეყნოდ გამოცხადებისა. აი საქმე რაშიდ მდგომარეობს: ჩემი მაღაზია გატეხეს თუ არა, მაშინვე ჩემმა ვექილმა პოლიციას მიაშურა, რასაკვირველია, რამე საშუალებისთვის. იქ ერთმა პრისტავმა მეორე პრისტავთან მიასწავლა და მეორე პრისტავმა თავი მოიავათმყოფა, ვექილმა მაშინ პოლიციმეისტერს შეა-

---

ზნეობითს და გონებითს წარმატებაზედ და ბ) რომელიმე საგნის სწავლებას, რომელს სასწავლებელშიაც უნდა იყოს, მიზნად უნდა ჰქონდეს საფუძვლიანად შესწავლა მისი, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლა იქნება დროს დაკარგვა და უფრო მავნებელი მოსწავლეთათვის, ვიდრე სასარგებლო.“ („დროება“ № 11)...

დიახ, ბ. მარსოვს სურდა, სწავლა სკოლებში „გონივრულად“ წასულიყო და „საგნები“ შესწავლილიყო და არა საგნების საშვალებით რუსული ენა. მაგრამ ამასთან იმან, როგორც სწავლების საქმეში გამოცდილმა და პატიოსანმა პედაგოგმა, კარგად იცოდა, რომ საგნების შესწავლა შეუძლებელი იყო უცხო ენაზედ. ამიტომ მოსვლისა-თანავე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მისგან, მიაქცია განსაკუთრებითი ყურადღება ქართულს ენაზედ საგნების შესწავლას.

მე აქ მოვიყვან მაგალითს ქუთაისის ორ-კლასიანი საქალებო სკოლის ცხოვრებიდგან.

ეს სკოლა ბ. ტროიცს ხელში მიყრუებული ჭაობი იყო; იმის მდგომარეობა მომაკვდავ კაცს მოგაგონებდათ, რომელიც სიცოცხლეშივე იხრწნება და ჰხრწნის ყველას, ვინც კი იმის შხამით დამთვრალს ჰაერს ყლაპავს; ეს იყო სკოლა, სადაც ხასი ყმაწვილი მახინჯდებოდა სულიერად და ფიზიკურად. სწავლება მიდიოდა რუსულს ენაზედ და ამ ენის ვითომ-შესწავლას ემსახურებოდა ყოველი საგანი.

ამ სისტემას ჰქონდა ვამ'ყვნელი ზე-გავლენა ყმაწვილებზედ, რომლებიც ტვინ-გაფუჭებულნი და დასნეულებულნი გადიოდნენ სკოლიდგან. რომ ვთქვათ, იმათ არავითარი ცოდნა არ მიჰყვებოდათ ცხოვრებაშიო, ცოტა იქნება, თუნდაც ხუთ-ხუთ წელიწადს რჩებოდნენ სკოლაში. საგნების ცნობა კი არა, მათი გაცნობის სურვილიც ეკარგებოდათ სამუდამოდ; გაჰქონდათ იქიდგან მხოლოდ ქვეყნისადმი დაფარულის მძულვარებით სავსე გული და რამოდენიმე უაზრო და ცხოვრებაში გამოუსადეგარი რუსული სიტყვებით გარეჯანებული თავი და მტკიცე რწმენა, რომ საწვალებლად გაჩენილან. ეს სკოლა თავის სისტემით ჰკლავდა მათში ყოველს მრთელის ჭკუისა და და ხასი გონების მომაგონებელს მოძრაობას; ყმაწვილს ეკარგებოდა თავის-თავის იმედი და თან-და-თან ვულს აჯერებდა იმაზედ, რომ ის არის ყოვლად სუსტი, რადგან მისი ნორჩი არსება დღითი-დღე ილუნებოდა შეუფერებელის ტვირთის ქვეშ ლონე-მიხდილი,—ეს იყო რუსული ენა, . . . . . . . . .
. . . . . .

ბატ. მარსოვის მოსვლა და ამ მომაკვდავი სკოლის ერთბაშად გამობრუნება ერთი შეიქმნა. ამის მიზეზი იყო სწავლების უფრო „გონივრულად“ წაყვანა და „საგნების“ შესწავლა.—ბატ. მარსოვმა მისცა ამ სკოლას ზნეობითი და ნივთიერი ძალა და მარჯვედ დააყენა ფეხზედ.

ეს სასიკეთო ცვლილება კარგად შენიშნა წარსულს წელს ბატ. იანოვსკიმ რევიზიის დროს და სთქვა—ამ ერთს წელიწადს დიდი ნაბიჯი გარდავიდგამსთო, თქვენზედ ცოტას ლაპარაკობენ და თურმე სხვაზედ მეტს კი აკეთებთო და სხვ.; თან მადლობაც უთხრა ამ სკოლის „ნაჩალნიცას“. ქ. რ—სს.

მართლაც წარმატება დაეტყო შესამჩნევად ერთის წლის განმავალობაშიაც სწავლის საქმეს სკოლაში ერთად ერთის ბატ. მარსოვის წყალობით.

ქალ. რ—სზედ ბევრს არას ვიტყვი; ორგული და ზარმაცია-მეთქი, არ შემიძლია ვსთქვა. . . . . . .
. . . . საქმე ის არის, ქ. რ—სი ძველი დროის ინსტიტუტკა გახლავს, . . . . . . . . და რადგანაც ქართული არ იცის, ქართულს ენაზედ სწავლება და ლაპარაკი ჟამივით ეზარება. ბევრი ურიგო სიტყვები ახსოვს მისგან მასწავლებლებს, რომლებსაც თითქმის ქურდულად მიჰყავდათ საგნების სწავლება ქართულს ენაზედ იქ, სადაც რუსულზედ შეუძლებელი იყო. ერთხელ ერთმა მასწავლებელმა ბატ. მარსოვთან წარსადგენს არითმეტიკის პროგრამმას შემდეგი შენიშვნა მიაწერა:

„პირველს კლასში ყმაწვილებმა იმდენი არ იციან რუსული ენა, რომ ამ ენაზედ არითმეტიკული კითხვების გაგება შეეძლოსთ; ამიტომ, სადაც საჭირო იქნება ქართულად ვასწავლი.“

თქვენ ვერ წარმოიდგენთ ქ-ნი რ—ის სიბრაზეს ამ უმანკო შენიშვნის გამო...

მკითხველი იტყვის—რაღა საჭირო იყო ეს შენიშვნა თუ, კი ბატ. მარსოვი ქართულს ენაზედ სწავლების ნებას იძლეოდაო? ბატ. მარსოვს სიტყვიერად პირ-და-პირ არ უთქვამს (იქნება, ნებაც არ ჰქონდა)—ქართულად ასწავლეთო, თუმცა არც წინააღმდეგს ამბობდა და მასწავლებელს

ტყობინა და პოლიცმეისტერი დრო დაუყოვნებლივ მოვიდა ჩემს მაღაზიაში, მაგრამ ვიდრემდის პრისტავები ეძიეს ერთი მეორესთან მთხოვნელი გაგზავნეს და სხვა და სხვა მიზეზებით საქმე თავიდგან აიშორეს, კვალიც გაცივდა და ჩემი დანაკარგი სამასი თუმნის ოქრო და ვერცხლის და აბრეშუმის საქონელიც გაჰქრა.

აქამდის პოლიციის აგენტები და ის პრისტავი ბატ. ქუთათელაძე, რომელმაც ავათ მყოფობა გამოაცხადა ჩემის მაღაზიის გაქურდვის ღამეს, მპირდებოდნენ რომ შენი საქონელი არ დაიკარგებაო და ავაზაკებიც სახეში გვყავსო, მხოლოდ საქმე უხარჯოთ არ გათავდებაო, ეხლა კი შემდგომ იმ უბედურის კორრესპონდენციის წაკითხვისა, შევტირე ბ. პრისტავს ქუთათელაძეს, იქნება რასმეს გახდეთ და ჩემი საქონელი აღმოჩნდეს სადმეთქო. ამაზე იმან მიპასუხა შენი საქონელი და ქურდები „დროების“ რედაქციაში ეძებეო. ბატ. რედაქტორო გთხოვთ ეს ჩემი გაჭირებაც საქვეყნოდ ცნობილი ჰყოთ და ისიც, რომ წინანდელი კორრესპონდენცია ჩემი გამოგზავნილი არა ყოფილა. იქნება იმ საშვალებით მაინც გული დაულბეს ჩემზედ განრისხებულს პრისტავს და პირობა აღმისრულოს ჩემი საქონლის გამოძიებისა. ამას კი ვერ დავმალავ, რომ რაც პირველს კორრესპონდენციაში იყო მოხსენებული პოლიციის აგენტების დაუდევნელობაზედ არის ჭეშმარიტება და სრული სიმართლე. თუ ამ საშვალებამაც არა მიშველარა, მაშინ სხვა ღონე აღარა დარჩებარა, მართებლობის ყურადღებისა მივაწევინებ ამ საქმეს და ჩემი ზარალი უნდა ვთხოვო იმას, ვისგანაც შემწეობის ნაცვლად დაუდევნელობა და საკვირველი გულ-გრილობა აღმოჩნდა.

ა. მურადოვი.

1881 წ. თებერვლის 21-ს
ქ. ქუთაისს.

# უცხოეთი

საფრანგეთი. მინისტრთა რჩევას ჰქონია სხდომა რესპუბლიკის პრეზიდენტის, გრევის, თავმჯდომარეობით, იმის შესახებ, თუ რა ცვლილება უნდა მიხდეს 1872 წ. დადგენილ დეკრეტში, რომლის ძალითაც შეიძლებოდა სახელმწიფო ქარხნებიდამ თოფების გაყიდვა. ამ სხდომაზედ გარდაწყდა, რომ ამის შემდეგ წაერთვას ეს უფლება სახელმწიფო ქარხნებს, ე. ი. არ შეეძლოთ თოფებს გაყიდვა სამხედრო მინისტრის დაუკითხავათ.

ზღვის ნაპირა ქალაქების პრეფექტებს (ღუბერნატორებს) მიუვიდათ მიწერილობა, ყურადღება იქონიონ გემების თოფებით და სხვა სამხედრო იარაღებით დატვირთვაზე. ერთს ამ ქალაქთაგანში, მარსელში, დაუჭერიათ ორი გემი სხვა-და-სხვა იარაღებით საბერძნეთისათვის დანიშნულები. დაუჭერიათ აგრეთვე საბერძნეთის გემი თოფის წამლით დატვირთული.

განმკარგულებელ კომიტეტს, რომელმაც გამართა ვიქტორ ჰუგოს დაბადების დღეს დღესასწაული, მიუვიდა გარიბალდისაგან შემდეგი წერილი:

„გარდაეცით უკვდავ გენიოსს კაცს, რომ მე აღტაცებით ვდგები იმ რაზმში, რომელიც ულოცავს მას დაბადების დღეს“.

პარიჟში შემომავალ რკინის გზების მმართველობამ გამოაცხადა, რომ ამ დღეს ნახევარ ფასით იქნება გარდაყვან-გადმოყვანა. პარიჟის ქალაქის გამგეობაც მიიღო ამ დღეობში მონაწილეობა. ვიქტორ ჰიუგოს სადგომის ახლო-მახლო ხეები სულ ყვავილებით იყო შემკული.

ამავე დღეობის სახსოვრად სახალხო განათლების მინისტრმა შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა სასწავლებლების რექტორებს:

„ბ. რექტორო, დღეს ვიქტორ ჰიუგო გარდავიდა მე-81 წელში თავის შესანიშნავ ცხოვრებისა. ამ დღესასწაულის სახსოვრად მე გადავწყვიტე, რომ მოესპო ყოველ გვარი სასჯელი საფრანგეთისა და ალჟირის ყველა გიმნაზიებში, ლიცეიებში და სკოლებში, რომელნიც სახალხო განათლების სამინისტროს ექვემდებარებიან.

„გთხოვთ, ბატ. რექტორო, ამ განკარგულების მტკიცედ შესრულებას ყურადღება მიაქციოთ. ჟულ-ფერრი“.

—

ინგლისი. ბრიტანიის ელჩები სოფიაში და ფილიპოპოლში ჰფიქრობენ, რომ, თუ, ვინიცობაა, ეხლა ომი ასტყდა ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა, შეუძლებელია არ აჯანყდეს მთელი ბალკანიის სლავიანებიცაო.

— „რეიტერის სააგენტოს“ სწერენ კალკუტიდამ, რომ იმ ცნობებიდამ, რომლებიც მოდიან გერატიდამ, სჩანსო, რომ ეიუბ-ხანს განზრახვა აქვსო მაშინვე დაიჭიროს ყანდაარი, როგორც ინგლისელები გამოვლენ იქიდამაო.

## მწერლობა

### ვეფხის ტყაოსანი.

(მეხუთე სხდომა რედაქციისა, 24 თებერვალს.)

სხდომა რო, გაიმართა მყრილობას მოხსენდა დ. ი. ყიფიანის შენიშვნა პირველს რედაქციის გადაწყვეტილებაზე. ეს შენიშვნა შეეხება სამ საგანს: ა) მე-5 ხანაში სიტყვა საქებრათ უნდა იწერებოდეს საქებრად, მართლწერაში ზმნის-ზედას დაჰყვება დ და არა თ; ბ) მე-18 ხანაში უნდა იყოს უწუნებდეს და არა უწუნობდეს; გ) მე-29 ხანაში უნდა იყოს: არაბულითა ენითა, რადგანაც ამას მოითხოვს კანკლედობის კანონი.

აკაკიმ, თავის მხრით, წარმოადგინა რამდენიმე შენიშვნა წასრული სხდომის გადაწყვეტილებაზე (რომელზედაც ის დაესწრო). რო ჩაუფიქრდიო, თქვა აკაკიმ, მე-76 ხანაში „მიესროდეს“ ტყუილათ გადავასწორეთ „მიისროდეს“-ათ. „მიისროდეს“ ნიშნავს უნიშნოთ სროლას; „მიესროდეს“ ნიშანში დამიზნულ სროლას. ეგრეთვე მე-46 ხანაში „დაატკბობდეს ტკბილითა ხმათა“ ტყუილათ გადაგვისწორებია „დაატკბობდეს მათთა ხმათა“-თ, რადგანაც „ტკბილთა“ აქ არ ნიშნავს მომღერლების ხმას, არამედ საკრავებისას.

ამ შენიშვნებზე ბევრი ილაპარაკეს. პირველი შენიშვნა ბ. ყიფიანისა პატივ-დებაში მიიღეს, მაგრამ სხვა შე-

---

ამ შენიშვნით უნდოდა მისი აზრი გაეგო. სწორედ მეორე დღეს შევიდა იმ მასწავლებელთან არითმეტიკის გაკვეთილზედ და დაესწრო ქართულად სწავლებას და გათავების შემდეგ კერძო ლაპარაკში კარგად აგრძნობინა მასწავლებელს ოღონდ არითმეტიკა ასწავლე კარგად, და როგორც გერჩიოს, ისე სწირეო.

ამით წელ-გამაგრებული მასწავლებლები უფრო სიყვარულით ეკიდებოდენ თავიანთს მოვალეობას, თვითონ მოსწავლე ყმაწვილებსაც მოეშვათ ვულზედ, დაეტყოთ სიცოცხლე და საქმე ისე კარგად წავიდა, რომ ბატ. იანოვსკიც კმაყოფილი დარჩა და სხვებიც, გამოცდაზედ ვინც დაესწრენ.

თავის დღეში არ დამავიწყდება ის მშვენიერი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ერთმა უფროსმა მოსწავლე-ქალმა დამსწრეებზედ „აჩრდილის“ მოკლედ ახსნით და განსაკუთრებით „აჩრდილის ლოცვის“ განმარტებით. და ვის უნდა ვუმადლოდეთ ამას, თუ არ ბ. მარსოვს, რომელიც ყოველს-გვარს შემწეობას აძლევდა ქართულის ენის მასწავლებელს, რომ თავის საქმე რიგიანად წაეყვანა და არა თუ მარტო კითხვა და წერა, არამედ უმთავრესი ღრამმატიკული ცნობებიც გარდაეცა.

დავამშვიდებთ რუსული სიტყვების თაყვანის-მცემლებს, რომ ამ გვარად საქმის წაყვანამ რუსულს ენასაც ბევრი რამ შესძინა; ამას ყველა აღიარებს, ვინც კი იცნობდა წინეთ და იცნობს დღეს ამ სკოლას...

„იმერელი“ („დროება“, № 31) სწორედ მართალს ბრძანებს:

„ბ. მარსოვი თავის ხელ-ქვეშე მასწავლებლებს მამა-შვილურად ექცეოდაო“. მე ამას, ჩემის მხრით, უნდა დავუმატო, რომ ის კიდევ უფრო მამა-შვილურად და სიყვარულით ექცეოდე ყმაწვილებს, რომელთ გულიც ერთობ მალე მოიგო; მისი შესვლა კლასში მხიარულების ფერს გადაჰკრავდა ხოლმე ყმაწვილებს; მისს ლაპარაკს ბრძანებითი კილო არ ჰქონია და არც არავის უკითხავდა გამამტყუნებელს ოქმებს და, შეიძლება, სულაც ამიტომ ჰქონდა ხოლმე ძალა ყოველს მისს შენიშვნას.

დიახ, „ბ. მარსოვმა დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება მით, რომ იყო პედაგოგი და არა სხვა მიზნის მსდევნელი“ და ჭეშმარიტად „სამწუხაროა, რომ ღმერთმა არ ინება დიდხანს მისი დარჩენა ჩვენში დირექტორად“. ერთის შეხედვით თითქო გასაკვირია ამისთანა ფრთხილი და ზომიერი კაცის გადაყვანა!..

ამ სტატიის თავში ბ. იანოვსკის „პასუხიდგან“ ორიოდე მუხლი მოვიხსენიე. რადგან სიტყვამ მოიტანა, უადგილო არ იქნეს, მგონი, ცოტა რამ ვსთქვა თვითონ იმ პასუხის გამო.

ბ. იანოვსკი საქვეყნოდ აცხადებს, რომ პირველს ნახევარს წელიწადს სკოლის პირველს განყოფილებაში ყმაწვილები უნდა სწავლობდენ მხოლოდ სამშობლო ენაზედ და სხვ... ამას გარდა მთელად „პასუხიდგან“ სჩანს, რომ საგნების სწავლება უნდა მიდიოდეს სამშობლო ენაზედ. თუ ეს ასეა, ზემო ნაჩვენებ სკოლაში რატომ აწყებინებენ ყმაწვილებს რუსულის ენის სწავლას შესვლისათანავე და ან პირველს კლასში, სადაც რუსული არ იციან, რატომ თხოულობენ საგნების სწავლებას რუსულს ენაზედ?! თუ „ყველა ის, რასაც რუსულად ასწავლიან ყმაწვილებს, უსათუოდ უნდა აუხსნან სამშობლო ენაზედ“, რატომ არის იმავე სკოლაში რუსულის ენის მასწავლებლად ქართულის სრულიად უმეცარი ქ. რ—სი?! და ან გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მოსამზადებელს კლასსებში რატომ არიან მასწავლებლებად რუსები?! ან და შეიძლება, ეს იმას ჰგავდეს ნ. დადიანი რომ გვეუბნება:

„ქაღალდზე სწერენ გულის გარესა,
„სიტყვაში ზრახვენ ტყუილს უკმეხსა,
„განზე უხვევენ მართალს-მწარესა,
„ჭკუთილს ურტყამენ მწვირიან ფეხსა.“

— მომავალს მაინც უფრთხილდით, აჩრდილის არ იყოს.

ე. მ—ძე.

მოსკოვი, 18 თებერვალს.

ნიშნეებზე ლაპარაკი გაუთავებელი დარჩა,—ეს კითხვები იმ დროს იქნებიან განხილულნი, როდესაც რედაქცია უკანასკნელათ თვალს გადაავლებს პოემას, დაბეჭდვის წინათ.

შემდეგ სხდომა შეუდგა კითხვას.

საზოგადოთ გვეგონა, რომ ამას იქით უფრო ბევრის გაკეთებას მოვასწრებდით, ვინემ პირველს ორს სხდომაში. მაგრამ ამ საღამომ ცოტა არ იყოს დაგვაფიქრა: ერთობ დიდი დრო უნდება ბევრს, ერთის შეხედვით, უმნიშვნელო კითხვას. მგონი, ნახევარი საათი მეტი ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ უნდა გაიგოს კაცმა და როგორ უნდა იწერებოდეს შემდეგი ტაეპი მე-103 ხანისა:

უცხო ვმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ამითა.

რა არის აქ „ამითა"? საზოგადო ჰაზრი იყო, რომ „ამითა" არის ორი სიტყვა: ერთი ა, რომელიც ნიშნავს არის-ს და მეორე მითა. მაგრამ რომელი ა იყო ზმნა-შესმენილი,—თავში რომ უზის ამითა-ს, თუ ბოლოში, და, ყოველ შემთხვევაში, როგორ უნდა იწერებოდეს ეს შესმენილი: ცალკე, თუ სხვა სიტყვასთან შეერთებით?! ბევრის ლაპარაკის შემდეგ ეს კითხვა გახსნილათ დაარჩინეს და მომავალში კიდევ დაუბრუნდება სხდომა ამ საგანს.

თითქმის ამდენივე დრო მოუნდა მე-106 ხანაში, ტაეპს:

... მქდი მე მოუყვანებსა.

მქდი მე მოუყვანებსა, თუ მოქდი მოუყვანებსა, თუ რად მქდი მოუყვანებსა? რომელი უკეთესი იყო ამ სამ ვარიანტში?! ესეც ისე გაუთავებლათ დარჩა, როგორც „ამითა" და გასწორდება მომავალში...

მოვიყვან აქ იმ ცოტას, რაც მოვასწარით ამ საღამოს.

ტექსტში შემდეგი ცვლილება მოახდინეს:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 86 | ხან. ი. | მოვიდა | გასწორ. | წავიდა |
| 88 | ,, | ძახილისა | ,, | ზახილისა |
| 90 | ,, | შემიწუხდა | ,, | შემიძრწუნდა |
| 91 | ,, | მისი | ,, | მისისა |
| — | ,, | იქა | ,, | იქი |
| 93 | ,, | მოიმაგრა | ,, | მოიმარჯვნა |

ეს მე-93 ხანა, თუმცა ბროსსეს ჰაზრით, არ ეკუთვნის რუსთველს, მაგრამ სხდომამ ხელ-ნაწერების შემწეობით, ჰაზრით და ლექსის სიმდიდრით იცნო, რომ ის ეკუთვნის რუსთველის კალამს.

მე-94 ხანა, აკაკის ჰაზრით, რუსთველის არ არის, მაგრამ ამ ხანას გამორიცხვაზე თითონაკ ვერ გაბედა ლაპარაკი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 96 | ხან. ი. | შესხდენ | გასწორ. | შესხდეს |
| 101 | ,, | დარჯილი | ,, | დაჯრილი |
| 106 | ,, | მოვიდა | ,, | მივიდა |

სხოლიოში შესატან ვარიანტათ იცნეს ერთი ხანა, რომელიც ჯერ ბეჭედში არ ყოფილა. ეს ხანა 85 და 86 ხანებ შუა არის. აი თითონ ის:

როსტენ მონა გაუგზავნა, ნახე ვინ
ზის წყლისა პირსა,
ხელსა ვისმე დავამსგავსე მით საწუთრო
არა ჭვირსა,
შემოჭყრია კაეშანი, მასცემია მძნელსა ჭირსა
მოახსენე სოფლის მზესა, ტკბილათ
ჭკითხე რისთვის ტირსა.

ამ ცოტა შესწორებით გათავდა ეს მესამე სხდომა. სულ 23 ხანასი წაკითხვა-ღა მოასწრეს, რადგანაც, ბევრ მუსაიფს გარდა, ბატ. თავ-მჯდომარემაც (რაფ. ერისთავმა) ჩვეულებრივზე უფრო ადრე შესწყვიტა სხდომა რედაქციისა.

შემდეგი ყრილობა იქნება პარასკევს, 27 ამ თვისას, ნაცვლად იმ სხდომისა, რომელიც წასრულ პარასკევს ვერ მოხდა, ქართული წარმოდგენის გამო.

ი. მეუნარგია.

# განცხადებანი


### ბევრი კრაოტები

ფოდნოსები, კლიტეები, კალმები, ქაღალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე: პალტო 12 მან—დამ, შარვლები 4 მან—დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, პიახტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქაღალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—1)

### თესლები
ბოსტნეულობისა და ყვავილებისა

მიღებულია თესლების დეპოში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კომისიონერისა, გოლოვინის პროსპექტზე, № 11, **ლარშეს** მაღაზიაში.

აქვე იშოვება კატალოღები თესლებისა. (10—1)

### ტოლლეს მაღაზიაში

25 თებერვლიდამ 10 მარტამდე იქნება **გასყიდვა** ყოველ გვარის საქონლისა იაფ ფასებით. (5—2)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემშვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხამების გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანას სიგარები. (100—31)

# აუქციონი

თებერვლისა 28-სა და მარტის 7-სა და 14-ს ამა 1881 წელსა კავკასიის აქეთა მხრის ბრიკაზში გაისყიდება ვადა გასული დაგირავებული ნივთეულობა.

ვერცხლეული, ოქროული და ბრილიანტეული. (3—3)

### პატენტიანი შჩოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარშევი 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჯ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.** (100—100)

**ყველაზედ** უფრო ბევრი საქონელი კავკასიის აქეთა მხარეში **ინგლისის მაღაზიაშია,** არწრუნის გალლერეაში: ღირს სანახავად.

**ისყიდება** საზამთრო მოსასხამები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფადნოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 20—11

**მიუხედავათ** იმისა, რომ აკვა მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ. მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.**

საგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. [illegible] სო 2 მ. 30 კ. [illegible] იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—30

### ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—41)

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

მაღაროვო წვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსხოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| — | — | —1—20 | — | —1—60 | |
| — | — | —1—40 | — | —1—80 | |
| — | — | —1—60 | — | —2— | ,, |
| — | — | —1—80 | — | —2—50 | |
| საუკეთესო | —2— | ,, | — | —3— | ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—98)

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—14)

# თფილისის ქალაქ. გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ 10 მარტს ამა წლისას, დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი ნავთლუღის დაჩის არენდით გაცემაზედ, რომელიც გამოსადეგია საბალახოთ, და შეიცავს 194 დესიატინას და ას ოთხ-კუთხს საჟენს, ვადით 1 აპრილიდამ ამავე წლისა 1884 წლის 1 იანვრამდის.

დაწვრილებული პირობები ამ სავნის შესახებ მსურველთ შეუძლიათ შეიტყონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 10-2 საათამდი, გარდა კვირა და უქმი დღეებისა. (3—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ 25 февраля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ივ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.